

დოქტორანტობის კანდიდატებთან გასაუბრების შეფასების ფორმები და კრიტერიუმები

გასაუბრება ტარდება ორი ფორმით: კვლევითი პროექტი და ზეპირი გასაუბრება.

კვლევითი პროექტის მაქსიმალური შეფასებაა 10 ქულა, მინიმალური შეფასება - 5 ქულა
კანდიდატის მიერ წარმოდგენილი კვლევითი პროექტის შეფასების კრიტერიუმებია:

➤ **საკვლევი თემის აქტუალობა - 3 ქულა;**

3 ქულა - თემა აქტუალურია და დარგის განვითარებაზეა ორიენტირებული;

2 ქულა - თემა აქტუალურია და ნაკლებად არის ორიენტირებული დარგის განვითარებაზე;

1 ქულა - თემა აქტუალურია, გამომდინარეობს დარგის განვითარების პოტენციური შესაძლებლობიდან;

0 ქულა - თემა მოძველებულია და ნაკლებად აქტუალური. შესაბამისად, წვლილს ვერ შეიტანს დარგის განვითარებაში.

➤ **კვლევის მიზანი და მიმართულება - 2ქულა;**

2 ქულა - კვლევის მიზანი და მიმართულება მკაფიოდ და თვალსაჩინოდაა ჩამოყალიბებული;

1 ქულა - კვლევის მიზანი და მიმართულება მკაფიოდ და თვალსაჩინოდ არ არის ჩამოყალიბებული;

0 ქულა - კვლევის მიზანი და მიმართულება არადამაჯერებლადაა წარმოდგენილი.

➤ **თეორიული/პრაქტიკული ღირებულება - 2ქულა;**

2 ქულა - თემას აქვს მნიშვნელოვანი თეორიული/პრაქტიკული ღირებულება;

1 ქულა - თემას აქვს ნაკლებ მნიშვნელოვანი თეორიული/პრაქტიკული ღირებულება;

0 ქულა - თემას აქვს უმნიშვნელო თეორიული/პრაქტიკული ღირებულება.

➤ **არგუმენტირებული მსჯელობა - 2 ქულა;**

2 ქულა - პრობლემის ირგვლივ მსჯელობა სრულყოფილი და დამაჯერებელია. პროფესიული ტერმინოლოგია გამართულად არის გამოყენებული. თემის შესახებ ინფორმაცია ამომწურავად არის გადმოცემული. დასმული პრობლემის გადაწყვეტა სრულად არის წარმოჩენილი;

1 ქულა - მსჯელობა დასმული პრობლემის ირგვლივ დამაკმაყოფილებელ დონეზეა. პრობლემის გადაწყვეტა არასრულადაა წარმოაჩენილი. პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენება დამაკმაყოფილებელია;

0 ქულა - მსჯელობა საკითხის შესაბამისი არ არის. დასმული პრობლემა არ არის სრულად წარმოჩენილი.

➤ **კვლევითი პროექტის გაფორმება - 1 ქულა.**

1 ქულა - კვლევითი პროექტი გაფორმებულია ყველა მოთხოვნის გათვალისწინებით.

0 ქულა - კვლევითი პროექტი გაფორმებულია არასათანადოდ.

კვლევითი პროექტის გაფორმების წესი:

კვლევის პროექტის მოცულობა უნდა იყოს არაუმეტეს 10 გვერდისა. ყველა გვერდი უნდა დაინომროს თანმიმდევრობით, დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება. ტექსტი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის ქაღალდზე, შრიფტი - Sylfaen, ზომა 12. გვერდის ნომრებისა და სქოლიოს შრიფტის მინიმალური ზომა უნდა იყოს 10. სტრიქონებს შორის ინტერვალი უნდა იყოს 1.5. ტექსტი უნდა დაიბეჭდოს მხოლოდ ერთ გვერდზე. გვერდის მარცხენა მხარეს უნდა დარჩეს 30 მმ მინდორი, ხოლო დანარჩენ მხარეებზე – 20 მმ.

კანდიდატთან ზეპირი გასაუბრების მაქსიმალური შეფასებაა 10 ქულა, მინიმალური შეფასება - 5 ქულა

კანდიდატთან ზეპირი გასაუბრების კრიტერიუმებია:

9-10 ქულა - კანდიდატი დასმული პრობლემის ირგვლივ მსჯელობს სრულყოფილად და დამაჯერებლად. გამართულად იყენებს პროფესიულ ტერმინოლოგიას. თემის შესახებ ინფორმაციას გადმოსცემს ამომწურავად, საკითხის საფუძვლიანად ცოდნის დემონსტრირებით. დასმული პრობლემის გადაწყვეტას წარმოაჩენს სრულად;

7-8 ქულა - კანდიდატი დასმული პრობლემის ირგვლივ მსჯელობს კარგ დონეზე. საკმაოდ კარგად იყენებს პროფესიულ ტერმინოლოგიას, ასახავს წარმოდგენილი თემის შინაარსს, მაგრამ მოკლებულია დამაჯერებლობას. დასმული პრობლემის გადაწყვეტას მეტწილად წარმოაჩენს;

6-7 ქულა - კანდიდატის მსჯელობა დასმული პრობლემის ირგვლივ დამაკმაყოფილებელ დონეზეა, თუმცა დასმული პრობლემის გადაწყვეტას არასრულად წარმოაჩენს. პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენება დამაკმაყოფილებელია;

5 ქულა - კანდიდატის მსჯელობა დასმული პრობლემის ირგვლივ მოიცავს ხარვეზებს. პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებისას დაშვებულია შეცდომები. დასმული პრობლემის გადაწყვეტა წარმოჩენილია მნიშვნელოვანი ხარვეზებით;

4 და ნაკლები ქულა - კანდიდატის მსჯელობა საკითხის შესაბამისი არ არის. დასმული პრობლემა არ არის სრულად წარმოჩენილი.